GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2021 / 02 Nisan/აპრილი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 716.9	4 274.6	-6.2%	18.5 %	7.2 %

Başbakan Yeni Adalet ve Finans Bakanlarını Tanıttı
პრემიერმა იუსტიციისა და ფინანსთა ახალი მინისტრები წარადგინა

Gürcistan Başbakanı Irakli Garibashvili, Hükümet oturumunda yeni Adalet ve Finans Bakanlarını sundu. Adalet Bakanı olarak Rati Bregadze, Finans Bakanı olarak ise Lasha Khutsishvili atandı.

Başbakan, eski Finans Bakanı Ivane Machavariani'ye ve eski Adalet Bakanı Gocha Lortkipanidze'ye çalışmalarından dolayı teşekkür etti ve başarılar diledi.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე იუსტიციისა და ფინანსთა ახალი მინისტრები წარადგინა. იუსტიციის მინისტრის პოზიციას რატი ბრეგაძე, ფინანსთა მინისტრის თანამდებობას კი, ლაშა ხუციშვილი დაიკავებს.

პრემიერ-მინისტრმა ფინანსთა ყოფილ მინისტრს ივანე მაჭავარიანსა და იუსტიციის ყოფილ მინისტრს გოჩა ლორთქიფანიძეს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და წარმატება უსურვა.

100 Yatırım Teklifi
100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს

Ekonomi Bakanı'na göre, hükümetin girişimi ile yaklaşık bir sene önce başlatılan 100 Yatırım Teklif projesi başarılı bir şekilde devam ediyor. Proje kapsamında şimdiden 92 milyon GEL değerinde 115 gayrimenkul satıldı ve 47 cevher için 3,5 milyon GEL değerinde lisansı verildi. Proje geliştirme açısından gayrimenkul ve cevher listesi yenilenmiştir.

AK YIL ZEMİN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Cevher listesi bağlantı linkte verilmiştir: https://bit.ly/39tYdxJ

Yatırım açısından cazip gayrimenkullerin listesi bağlantı linkte verilmiştir: https://bit.ly/3dn6ZPl

ეკონომიკის მინისტრის განმარტებით მთავრობის მიერ ინიცირებული პროექტი 100 შეთავაზება ბიზნესს წარმატებით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში უკვე გასხვისდა 92 მილიონი ლარის ღირებულების 115 უძრავი ქონება და გაიცა 3,5 მილიონი ლარის მოცულობის ლიცენზია 47 საბადოზე. პროექტის განვითარების კუთხით გაიზარდა გასაყიდი უძრავი ქონების და საბადოების ნუსხა.

კომერციულად მიმზიდველი 100 საბადო იხილეთ ბმულზე: https://bit.ly/39tYdxJ

საინვესტიციოდ მიმზიდველი უძრავი ქონების ნუსხა მოცემულია ბმულზე: https://bit.ly/3dn6ZPl

Enguri HES Rehabilitasyonu

ენგურ ჰესის რეაბილიტაცია

Gürcistan Başbakanı Irakli Garibashvili ve Ekonomi Bakanı Natia Turnava, Enguri hidroelektrik santralı ziyaret edip, devam eden rehabilitasyon çalışmaları ile ilgili bilgi aldılar. Rehabilitasyon proje maliyeti 50 milyon Euro'ya eşittir. Başbakana göre Enguri HES'in ürettiği enerji, ülke çapında

üretilen toplam enerjinin %40'ı oluşmaktadır. Enguri'nin varlığı büyük bir önem taşımaktadır. Başbakanın belirttiği gibi Enguri ile birlikte genel olarak hidroelektrik santrallerinin inşası ülkenin enerji bağımsızlığı ve gelişimi için son derecede önemlidir.

საქართველოს პრემიერ მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ ენგურ ჰესზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს. სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება 50 მილიონ ევროს უტოლდება. პრემიერის აღნიშვნით ენგურ ჰესის მიერ გამომუშავებული ენერგია, მთელი გენერაციის 40%-ს უტოლდება და მისი არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია. ენგურ ჰესთან ერთად კი ზოგადად ჰესების მშენებლობა და ენერგო დამოუკიდებლობა უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის და მისი განვითარებისთვის.

Gürcistan'da Enflasyon
ინფლაცია საქართველოში

Mart 2021'de bir önceki aya göre Gürcistan'da enflasyon %4.2 yıllık enflasyon oranı ise %7.2 olarak teşkil etmiştir.
2021 წლის მარტში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 4.2% ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 7.2% შეადგინა.

Yıllık enflasyon oluşumunun temel neden aşağıdaki gruplarda fiyatların değişimi olmuştur:
წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

1. Gıda ve Alkolsüz İçecekler / სურსათი და უალკოჰოლო სასმელები - 5.7% ⬆
   - Yağlar / ზეთი და ცხიმი - 35.8% ⬆
   - Kahve, çay ve kakao / ყავა, ჩაი და კაკაო - 13.7% ⬆
   - Şeker ve diğer tatlılar / შაქარი და სხვა ტკბილეული - 13.0% ⬆
   - Balık / თევზეული - 12.2% ⬆
   - Süt, peynir ve yumurta / რძე, ყველი და კვერცხი - 8.5% ⬆
   - Ekmek ve ekmek ürünleri / პური და პურპროდუქტები - 7.7% ⬆
   - Alkolsüz içecekler / უალკოჰოლო სასმელები - 5.0% ⬆
   - Et ve et ürünleri / ხორცი და ხორცის პროდუქტები - 4.0% ⬆
2. İçme su, elektrik ve gaz / წყალი, ელ. ენერგია, აირი - 7.6% ⬆
3. Sağlık / ჯანმრთელობის დაცვა - 13.6% ⬆
4. Ulaşım / ტრანსპორტი - 5.8% ⬆
5. Mobilya ve ev bakımı / ავეჯი და სახლის მოვლა - 12.0% ⬆
6. Alkollü içecekler, tütün / ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო - 8.9% ⬆

Bakanlar ile Uzmanlar Arasında Buluşması
მინისტრების შეხვედრა ექსპერტებთან

Ekonomi Bakanı Natia Turnava ve Tarım ve Çevre Koruma Bakanı Levan Davitashvili, Namakhvani HES konusu tartışmak üzere uzman ve bilim çevrelerinin temsilcileriyle bir araya geldi. Toplantının amacı proje ile ilgili önceden yapılmış araştırmalarının yeniden incelemesidir. Konuşma sırasında Sn. Turnava, yatırımcı firması ile varılan yeni anlaşma dile getirdi. Anlaşmaya göre araştırmalarının inceleme sürecinin tamamlamadan inşaat süreci başlamayacak. Uzmanlar grubu enerji uzmanlardan, ekolojistlerden, sismologlardan, hidrologlardan ve jeologlardan oluşmaktadır. Belirtilen grubu proje ile ilgili önceden yapılmış araştırmalarını 2 ay boyunca tartışacak.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

ნამახვანი ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა და სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის მინისტრი ლევან დავითაშვილი ექსპერტული და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი პროექტთან დაკავშირებული კვლევების ხელახალი შესწავლაა. ნათია თურნავამ შეხვედრაზე გააჟღერა ინვესტორ კომპანიასთან მიღწეული ახალი შეთანხმება, რომლის თანახმადაც ძირითადი კვლევების გადამოწმებამდე კაშხალი არ აშენდება. ექსპერტთა ჯგუფში ჩართულები არიან ენერგეტიკოსები, ეკოლოგები, სეისმოლოგები, ჰიდროლოგები და გეოლოგები. ისინი პროექტის კვლევებზე 2 თვის განმავლობაში იმსჯელებენ.

Covid – 19
კოვიდ – 19

Gürcistan'da korona virüs vaka sayısının artış eğilimi devam ediyor. Bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 3343'e ulaştı (ortalama: 477 kişi/gün). Tespit edilen vaka sayıları ile Tiflis bölgesi tekrar ön sıradadır.
Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 282 789'e ulaştı. Can Kaybı – 3 798, iyileşenlerin sayısı – 273 930, aktif vaka ise – 5 061. Halihazırda hastanelerde 1756, otellerde ise 232 kişi tedavi görüyor, 231 kişi ise karantinadadır. Son verilere göre ülke çapında 3 443 156 test yapıldı. Testlerdeki pozitif oranı, günlük olarak %2,15'e eşittir. Son 14 gün içerisindeki pozitif oran %1,8'e, 7 gün içerisindeki pozitif oranı ise %1,73'e eşittir.
Dünya çapında ise korona virüs vakalarının sayısı 130 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 130 288 523; Can Kaybı – 2 842 294; İyileşen kişi sayısı – 104 975 407. En çok vaka sayısı ABD, Brezilya, Hindistan, Fransa ve Rusya'da görülmüştür.

საქართველოში კორონა ვირუსის დადასტურებული შემთხვევების რიცხვის მზარდი ტენდენცია გრძელდება. მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 3343-ს უტოლდება (477 კაცი საშუალოდ დღეში). ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ დედაქალაქი გამოირჩევა.
საბოლოო სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 282 789 შეადგინა. აქედან გარდაიცვალა 3 798, გამოჯანმრთელდა 273 930, ხოლო 5061 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 1756 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 232 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 231 ადამიანი. ქვეყნის მასშტაბით ჯამურად 3 443 156 ტესტი გაკეთდა. ჩატარებულ ტესტებში დადებითობის მაჩვენებელი დღიურად -2,15%-ს უტოლდება. ბოლო 14 დღის განმავლობაში დადებითობის მაჩვენებელი არის 1,8%, ხოლო 7 დღის -1,73%.

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 130 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 130 288 523 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 2 842 294, ხოლო გამოჯანმრთელდა 104 975 407 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ბრაზილიას, ინდოეთს, საფრანგეთსა და რუსეთს ჰყავს.

Aşılama Süreci
ვაქცინაცია

Bloomberg tarafından paylaşmış bilgilere göre korona virüs aşılama süreci dünya çapında 150 ülkede devam ediyor ve şu ana kadar 608 milyondan daha fazla aşı kullanıldı. Belirtilen rakam dünya nüfusunun ancak %4'ünü aşılamak için yeterlidir. Dünya çapında günde ortalama 15,6 milyon kişiye aşı veriliyor.

Aşıların en fazla, 154 milyon doz ABD'de kullanılmış. ABD'de günlük olarak aşı verilmiş kişilerin ortalaması 2,9 milyona eşittir. Nüfusun %75'inin aşılanması için daha 4 ay gerekecek.

Bununla beraber Çin'de 118 milyondan daha fazla, Avrupa Birliği'nde 75,4 milyon ve Hindistan'da 66,5 milyondan daha fazla kişiye aşı verilmiştir.

Yayınlanmış bilgilere göre, aşılama süreci en hızlı bir şekilde İsrail'de devam etmektedir. Adı geçem ülkede nüfusun %53'ü aşının her iki dozunu aldı.

Türkiye'de toplam 16.6 milyon kişiye (nüfusun %19.8) aşı yapıldı. 1. doz uygulanan kişi sayısı 9.5 milyon ve 2. doz uygulanan kişi sayısı ise 7.1 milyona eşittir. Gürcistan'da ise aşı yapılan toplan kişi sayısı 8909'a (nüfusun %0.2) eşittir.

კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია მსოფლიოს 150 ქვეყანაში მიმდინარეობს და ამ დროისთვის გლობალურად ვაქცინების 608 მილიონზე მეტი დოზაა გამოყენებული, რაც პლანეტის მოსახლეობის 4%-ის ვაქცინაციისთვისაა საკმარისი. Bloomberg-ის მიხედვით, მსოფლიოში ვაქცინაცია ყოველდღიურად, საშუალოდ 15.6 მილიონამდე ადამიანს უტარდება.

ვაქცინების ყველაზე მეტი - 154 მილიონი დოზა აშშ-შია გამოყენებული. გამოცემის მიხედვით, ერთ დღეში აშშ-ში საშუალოდ ვაქცინაცია 2.9 მილიონ ადამიანს უტარდება. მოსახლეობის 75%-ის ვაქცინაციას საშუალოდ კიდევ 4 თვე დასჭირდება.

ამასთან, ჩინეთში ვაქცინაცია 118 მილიონზე მეტ ადამიანს ჩაუტარდა, ევროკავშირში 75.4 მილიონს, ინდოეთში კი 66.5 მილიონზე მეტი ადამიანი აიცრა.

Bloomberg-ის ინფორმაციით, ისრაელში ვაქცინაცია ყველაზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, სადაც მოსახლეობის 53%-მა ვაქცინის ორივე დოზა მიიღო. აშშ-ში კი ვაქცინის ორივე დოზა მოსახლეობის 16.9%-მა მიიღო.

თურქეთში ჯამურად 16.6 მილიონი ადამიანი აიცრა (მოსახლეობის 19.8%). აქედან პირველი დოზა 9.5 მილიონ ადამიანს, ხოლო მეორე დოზა 7.1 მილიონ ადამიანს გაუკეთდა. საქართველოში კი ჯამურად 8909 ადამიანი აიცრა, რაც მოსახლეობის 0.2% შეადგენს.

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.4410 TRY/GEL – 0.4211 EUR/GEL – 4.0404 GBP/GEL – 4.7400

USD/GEL

26 - 02 Nisan 2021

USD/TRY

26 - 02 Nisan 2021

TRY/GEL

26 - 02 Nisan 2021

ALTIN – 55, 552.83 kg/usd

26 - 02 Nisan 2021



AK YIL ZEMİN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაზარბაევი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası